შპს "სათნო" "SATNO" LTD

N16

29.03.2023

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

სკრინინგის განცხადება

ქალბატონი თამარ,

ქ. ფოთში, ლარნაკას ქ.21-ში შპს,, სათნო''-ს ნავთობპროდუქტების საცავების (ავზების ჯამური მოცულობა 672მ³) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2017 წლის 22 ნოემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული, #87 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. 2021 წლის 27 მაისს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გაცემული ასევე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-770)

პროექტის მიხედვით (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად) საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო ატმოსფერული ნალექებისაგან წარმოქმნილი წყლების გამტარი არხებით, რომლებიც მიერთებულია ნავთობდამჭერ სისტემასთან, სადაც ხორციელდება წყლის გაწმენდა ნავთობპროდუქტებისაგან და მისი ჩაშვება სანიაღვრე არხში.

საწარმოში აღნიშნული ნავთობდამჭერის გარდა მოხდა მეორე ნავთობდამჭერის დამონტაჟება.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს ,,სათნო''-მ 2022 წლის 01 ივლისს გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილის რეგისტრაციის #2833) ექსპლოატაციის პირობების ცვლილებით სკრინინგის განცხადებით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით სკრინინგის განცხადების განხილვის შემდგომ სკრინინგის ანგარიშში მოცემული საკითხების დაზუსტების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსგან მივიღეთ 25/07/2022 N 21/3813 წერილი.

გარემოს ეროვნული სააგენტო
29 03 2023
№ 2687

საქართველო 4400 ფოთი, იურიდიული მის: ლარნაკის ქ. №21; ფაქტიური მის: ლარნაკის ქ. №21
Legal Address: Larnaka str №21, Actual Address: Larnaka str №21, Poti, Georgia
E-mail: info@satno.com
tel: +995 (493) 22 04 06
tel/fax: +995 (493) 22 17 80

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 25/07/2022 N 21/3813 წერილის მიხედვით მოხდა სკრინინგის ანგარიშის გადამუშავება და განახლებულ ანგარიში წარმოდგენილია წინამდებარე სკრინინგის განცხადებით.

ამასთან, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 25/07/2022 N 21/3813 წერილის მიხედვით დასმულ საკითხებზე ანგარიშში შეტანილი ცვლილებები განხილულია რეაგირების ცხრილში:

დასაზუსტებელი საკითხები	განმარტებები
სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობრპოდუქტების საცავის ტერიტორიაზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნით წყალაღება ხორციელდება ქ. ფოთის წყალმომარაგების ცენტრალური ქსელიდან, თუმცა, 2021 წელს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გეგმური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ ნავთობბაზაზე წყალაღება ხორციელდებოდა ზედაპირული წყლის ობიექტიდან. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია წყალაღების ობიექტის ცვლილება, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაცია.	სასმელ-სამეურნეო და დამხმარე მიზნებისათვის საწარმო წყალს იღებს ქ. ფოთის კომუნალური წყალსადენიდან. წყალაღება ხორციელდება ასევე ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ შპს „სათნო" სახანძრო მიზნით წყლით უზრუნველყოფისთვის წყალაღებას ახორციელებს ბუნებრივი ტბიდან. წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 1,2 ათასი კუბ.მ წყლის აღება. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაფიქსირებული იქნა, როგორც საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ერთ-ერთი კომპონენტი. განახლებული ინფორმაცია საქმიანობის ფარგლებში წყლის გამოყენების შესახებ ასახულია სკრინინგის ანგ. რიმის მე-5 თავში.
სკრინინგის განცხადებაში ასახულია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 8 ორგანიზებული და 3 არაორგანიზებული გაფრქვევის წყარო, ხოლო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების თანახმად, ფაქტობრივი მდგომარეობით, საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 20 ორგანიზებული და 5 არაორგანიზებული წყარო. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.	ობიექტის სკრინინგის ფარგლებში იდენტიფიცირებული იქნა ახალი ფაქტობრივი გარემობები, რაც გზშ-ის ანგარიშში და ზდგ-ის პროექტში არ ყოფილა ასახული/გათვალისწინებული. გადახედვას დაექვემდებარა, როგორც ობიექტზე არსებული გაფრქვევის წყაროები, ისე უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილი. დადგინდა რომ განსახილველ ობიექტზე სულ ჯამში წარმოდგენილია 12 ორგანიზებული და 5 არაორგანიზებული გაფრქვევის წყარო. ახლად გამოკვეთილი გარემობების გათვალისწინებით ამ ეტაპზე მიმდინარეობს განსახილველი ობიექტის ზდგ-ის ნორმების პროექტის დამუშავება, რომელიც შესათანხმებლად წარდგენილი იქნება

	სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. განახლებული ინფორმაცია გაფრქვევის წყაროების შესახებ იხილეთ სკრინინგის ანგარიშის 6.1 ქვეთავში. **დამატებითი გაურკვეველობის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია მზადაა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად კიდევ ერთხელ შემოწმდეს გაფრქვევის წყაროები რაოდენობა ადგილზე.**
დოკუმენტში მითითებულია, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია დამატებით ერთი სეპარატორის მოწყობა. სკრინინგის განცხადებაში აღწერილი უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედებ.	განახლებული სკრინინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ასევე აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების აღწერას. სკრინინგის ანგარიში შედგენილია განსახილველი ობიექტზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით

ვინაიდან,ზემოაღნიშნული ცვლილება წარმოადგენს ექსპლოატაციის პირობების შეცვლას, (საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა) საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „სათნო"-ს ნავთობპროდუქტების საცავის (აეზების ჯამური მოცულობა 6 720 მ³) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,

გიორგი ხახუბია

შპს „სათნოს'' დირექტორის მინდობილი პირი